სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

11 / სექტემბერი / 2024 წ.

KA021767591398024

№ **1/1-5192**

ბრძანება

ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზისა და გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მიმდებარედ არსებული 165.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 (მიწისქვეშა) შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტებისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის“ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზისა და გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მიმდებარედ არსებული 165.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 (მიწისქვეშა) შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი № 01.13.01.003.023) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 129 500 ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 77 700 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 2000 ლარით.

3.მყიდველი ვალდებულია საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4.დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

5. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს საერთო - სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონებად.

6.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114,

ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია